სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ხელშეკრულება № 36

ქ.ბოლნისი **23.05., 2019 წ.**

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო ერთის მხრივ ააიპ„სკოლის გარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულება ბოლნისის სპორტულ გამაჯანსაღებელიკომპლექსი (მის: ქალაქი ბოლნისი კოსტავას ქ.# 8) წარმოდგენილი დირექტორის დავით ყიფშიძის სახით (აქ და შემდგომში "შემსყიდველი") და მეორეს მხრივ შპს„ ეი ბი სი კონსალტინგი" წარმომადგენელი დირექტორი ედუარდ აბაიძის სახით (შემდგომში „შემსრულებელი") შორის და მიღწეულ იქნა ურთიერთშეთანხმება შემდეგზე:

1 . ხელშეკრულების საგანი

1.1 „დამკვეთი" უკვეთავს, ხოლო "შემსრულებელი " იღებს ვალდებულებას შეასრულოს ერთ პირთან მოლაპარაკებით აუდისტის მომსახურეობა cpv79212000

2.ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 150 (ას ორმოცდაათი) ლარს.

3. მომსახურეობის შესრულები ვადები

4.1 „შემსრულებელი" მომსახურეობის შესრულებას დაიწყებს ხელშეკრულების გაფორმებისთანავე და დაასრულებს 2019 წლის 30 მაისამდე.

4. მიწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

4.1 მომსახურეობა ჩაითვლება სრულად მიღებულად, მხარეების მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

5. ანგარიშსწორება

5.1 ანგარიშსწორება იწარმოებს უნაღდო ანგარიშწორებით, შესრულებულ მომსახურეობაზე შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის წარმოდგენის შემდეგ ანგარიშწორების ანგარიშზე.

5.2 ანგარიშწორება მოხდება ეროვნულ ვალუტაში (ლარებში).

6. მხარეთა ვალდებულებები

6.1 „შემსყიდველი" ვალდებულია:

ა) ხელშეკრულების საგნით გათვალისწინებული მომსახურეობისათვი გადაუხადოს „შემსრულებელს" გაწეული მომსახურეობის ღირებულება .

ბ) კონტროლი გაუწიოს ხელშეკრულების საგნის შესრულებას.

6.2„მიმწოდებელი" ვალდებულია:

ა) დროულად შეასრულოს ხელშეკრულების საგნით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება/მომსახურეობის გაწევა.

ბ) თავისდროულად და წერილობით აცნობოს "შემსყიდველს" საქონლის მიწოდებისას მომსახურეობის გაწევისას წარმოქმნილი მოსალოდნელი შეფერხებების შესახებ.

7. ფორს-მაჟორი

7.1ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

7.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

7.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

8.1 ხელშეკრულება მოქმედებაში შედის ორივე მხარის ხელის მოწერის დღიდან და ძალაშია 2019 წლის 3 ივლისამდე.

9. დავების გადაწყვეტა

9.1 მხარეებმა უნდა გააკეთონ ყველაფერი იმისათვის, რომ გადაწყვიტონ წარმოშობილი საკამათო საკითხები და გაუგებრობა ერთმანეთისადმი კეთილგანწყობის ფარგლებში, მოლაპარაკებათა საშუალებით.

9.2თუ მხარეები ვერ გადაწყვეტენ წარმოშობილ საკამათო საკითხებს, მაშინ საკითხი გადაწყდება მოქმედი კანონმდებლობით.

10. ინსპექტირების პირობები

10.1 ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან და მიღებაჩაბარების აქტზე ხელის მოწერას განახორციელებს კომპლექსის შესყიდვების კორდინატორი პეტრე ხუციშვილი.

11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა, შეცვლა, შეწყვეტა.

11.1 ,შემსყიდველს" შეუძლია შეუწყვიტოს ხელშეკრულება ნებისმიერ დროს თუ დაფიქსირდება „მიმწოდებლის" მხრიდან ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა,

და გადაახდევინოს „მიმწოდებელს" პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის ოდენობით.

11.2 „შემსყიდველი" უფლებამოსილია „მიმწოდებელს" დააკისროს პირგასამტეხლო სამუშაოს შესრულების ვადის გადაცილებისას ყოველი დღისათვის ხელშეკრულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით ან/და შეწყვიტოს ხელშეკრულება.

11.3 ხელშეკრულების შეწყვეტა „მიმწოდებელს" არ ანთავისუფლებს 12.1 და 12.2 პუნქტებში დაფიქსირებული პირგასამტეხლოებისაგან.

11.4 „შემსყიდველს" შეუძლია ცვლილება შეიტანოს ხელშეკრულებაში ნებისმიერ დროს ორივე მხარის შეთანხმების შემთხვევაში თუ აღნიშნული არ ცვლის ხელშეკრულების ძირითად აზრს

ყოველივე ზემოთქმულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც წარმოადგენს ორ იდენტურ ეგზემპლარს, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

რეკვიზიტები:

„შემსყიდველი"

ააიპ„სკოლის გარეშე სასპორტო საგანმანათლებლო

დაწესებულება ბოლნისის სპორტულ გამაჯანსაღებელი

კომპლექსი ს/კ 225394702

ბანკის კოდი TRESG22

სახაზინო კოდი 748517501 ხაზინის ერთიანი ანგარიში

დირექტორი: დ.ყიფშიძე

Davit Kipshidze

Digitally signed by Davit Kipshidze
Date: 2019.05.23 14:15:54 +04'30'

„მიმწოდებელი "

შპს„ ეი ბი სი კონსალტინგი" ს/კ 406136257

„თიბისი"ბანკი

GE27TB7395636080100004

TBCBGE22

ქ.თბილისი ქ.წამებულის 91 ტელ:599578425

დირექტორი: ე .აბაიძე